

ანგარიში

2020

www.naec.ge
2 47 33 33

სოფიო გორგოძე

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი

წარმოგიდგენთ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2020 წლის საქმიანობის ანგარიშს. პანდემიის გამო, ბუნებრივია, 2020 წელს სრულიად განსხვავებულ გარემოში მოგვიწია მუშაობა. გარდა იმისა, რომ ცენტრს უნდა შეეფასებინა დაახლოებით 70 000 გამოსაცდელის ცოდნა და უნარები, უმნიშვნელოვანესი იყო მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ამ მიზნით სრულიად შეიცვალა გამოცდების ორგანიზებისა და ჩატარების სქემები. შესაბამის ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით ამ ამოცანას ცენტრმა ისე გაართვა თავი, რომ ზაფხულის ყველაზე მასშტაბური და ხანგრძლივი თავყრილობა ინფექციის გავრცელების წყაროდ არ იქცა. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ამ გამოწვევების დროს გვერდით დაგვიდგა და მათი დახმარებისა და დიდი შრომის ფასად მივაღწიეთ სასურველ შედეგს.

2020 წელს საგამოცდო მოდელიც განსხვავებული იყო. ეს განსხვავება (რაც, უმეტეს შემთხვევაში, ერთით ნაკლები გამოცდის ჩაბარებას გულისხმობდა) პანდემიის პირობებში განსაკუთრებით ხელსაყრელი აღმოჩნდა, რადგან აბიტურიენტების უმეტესობას ოთხის ნაცვლად, სამჯერ უწევდათ გამოცდაზე მოსვლა, სახელოვნებო და სასპორტო მიმართულების აბიტურიენტებს კი - ორჯერ.

ასევე, რიგი მიმართულებებით მათემატიკის ჩაბარება გახდა სავალდებულო, შესაბამისად, გამოირიცხა გარკვეულ პროგრამებზე ნაკლებად რელევანტური საგნებით ჩარიცხვა (მაგ.: საინჟინრო, სამშენებლო ან ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამაზე ლიტერატურით, გეოგრაფიით ან ხელოვნებით). ჯანდაცვის მიმართულებებზე მესამე სავალდებულო საგანი გახდა ბიოლოგია, აბიტურიენტებს შეეძლოთ მეოთხე საგნად ქიმიის, ფიზიკის ან მათემატიკის არჩევა. ზოგადი უნარების გამოცდის არასავალდებულო ნუსხაში გადატანამ მოუხსნა ბარიერი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს, რომელთა ნაწილი ვერ აგრძელებდა სწავლას ზოგად უნარებში დაბალი მოსწრების გამო, მაშინ როდესაც შემოქმედებით ტურში მაქსიმალურ ქულებს იღებდნენ. გამოცდების ფორმატის ცვლილებამ, ბუნებრივია, გაზარდა იმ აბიტურიენტების რიცხვი, რომლებმაც მათემატიკითა და ისტორიით მოიპოვეს სტუდენტობის უფლება (ქართულთან და უცხო ენასთან ერთად). ასევე წინა წელთან შედარებით მეტმა აბიტურიენტმა მოიპოვა სტუდენტობის უფლება ქიმიის საგნის ჩაბარებით. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, თუ აბიტურიენტი 4 საგანს ჩააბარებდა, მას საგრანტო დაფინანსების შანსი უორმაგდებოდა. საგრანტო დაფინანსება 2020 წელს ყველაზე მეტმა აბიტურიენტმა მათემატიკის ჩაბარების შედეგად მოიპოვა.

გარდა ერთიანი ეროვნული გამოცდებისა, ცენტრი ბევრ სხვა მნიშვნელოვან საქმიანობასაც ეწევა, რის შესახებაც იქნება ამ ანგარიშში საუბარი. თითოეული ეს მიმართულება უაღრესად მნიშვნელოვანია განათლების სისტემის განვითარებისათვის. განსაკუთრებით ყურადსაღებია საგანმანათლებლო კვლევები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია განათლების პოლიტიკის უკეთ დაგეგმვა.

ჩვენი საქმიანობის ერთი წლის შედეგების შეჯამებიდან კარგად ჩანს, რომ ეს იყო რთული, საპასუხისმგებლო, მაგრამ წარმატებული წელი. კარგად გვაქვს გააზრებული ისიც, რომ შეფასებისა და გამოცდების არსებულ სისტემას სჭირდება შემდგომი განვითარება, რათა გავუმკლავდეთ არსებულ სირთულეებს სწავლა-სწავლებისა და შეფასების სფეროში. ჩვენ ღია ვართ თანამშრომლობისთვის ყველა დაინტერესებულ მხარესთან, ვისაც შეუძლია ჩვენთან ერთად იზრუნოს იმაზე, რომ შეფასების სისტემა იყოს მაქსიმალურად სანდო, ვალიდური და რელევანტური თანამედროვე გამოწვევების ფონზე.

სარჩევი

- ერთიანი ეროვნული გამოცდები 1
- საერთო სამაგისტრო გამოცდა 13
- სტუდენტთა საგრანტო კონკურსი 15
- მასწავლებლის კომპეტენციის დასადასტურებელი ტესტირება და მასწავლებლობის მსურველთა გამოცდა 17
- ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა 20
- პროფესიული ტესტირება 21
- საქართველოში სწავლის გაგრძელების მსურველთა გამოცდა 23
- „შეფასება განვითარებისთვის“ 24
- საერთაშორისო გამოცდები 26
- საერთაშორისო კვლევები და ეროვნული შეფასება 27
- თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან 29
- ცენტრის საკონსულტაციო მომსახურება და პროექტები 30
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული დამხმარე მასალები 30

ვინ ვართ ჩვენ?

ინფორმაცია ცენტრის შესახებ

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 2002 წელს დაარსდა. 2005 წელს ცენტრის ორგანიზებით პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩატარდა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებაში. დღეს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს როგორც ერთიან ეროვნულ გამოცდებს, ასევე საერთო სამაგისტრო გამოცდას, სტუდენტთა საგრანტო კონკურსს, მასწავლებლის კომპეტენციის დასადასტურებელ ტესტირებას, მასწავლებლობის მსურველთა გამოცდას, პროფესიულ პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა ტესტირებას, ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადასა და საქართველოში სწავლის გაგრძელების მსურველთა გამოცდას. ასევე, ცენტრი ორგანიზებას უწევს საერთაშორისო გამოცდების ჩატარებას (Cambridge Exams, TOEFL, ACCA) საქართველოში.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს კვლევითი საქმიანობა. ცენტრი მონაწილეობს საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებში (PISA, PIRLS, TIMMS, TALIS) და ატარებს სახელმწიფო შეფასებებსაც, რაც სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესსა და მოსწავლეთა მიღწევებს შეეხება. კვლევის შედეგებს ცენტრი აცნობს ფართო საზოგადოებას, დაინტერესებულ მხარეებს და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების პოლიტიკის უკეთ დაგეგმვის მიზნით.

ერთიანი ეროვნული გამოცდები

ჩვენს ქვეყანაში ერთიანი ეროვნული გამოცდების მოდელი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შეიქმნა. საქართველოს ყველა აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ბაკალავრის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად 2005 წლიდან სავალდებულოა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. გამოცდები სასელექციო ხასიათისაა, მთელი საგამოცდო პროცესი კი სტანდარტიზებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ ყველა პროცედურა (გამოცდების ადმინისტრირება, საგამოცდო ნაშრომების გასწორება, აპელაცია) დადგენილი სტანდარტის მიხედვით მიმდინარეობს და აბიტურიენტები თანაბარ პირობებში არიან. მსგავსი სტანდარტიზებული პროცესის მაღალ დონეზე ადმინისტრირებით გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული კორუფციის აღმოფხვრაში.

ერთიანი ეროვნული გამოცდები ცენტრალიზებულად ტარდება. საგამოცდო ცენტრები ყოველწლიურად შემდეგ ქალაქებში იხსნება: ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ქუთაისი, ახალციხე, გორი, თბილისი, რუსთავი, თელავი, ხულო.

აბიტურიენტებს შესაძლებობა აქვთ მოიპოვონ სრული ან ნაწილობრივი სახელმწიფო დაფინანსება, ასევე მათ შეუძლიათ შეუზღუდავი რაოდენობით აირჩიონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, საგანმანათლებლო პროგრამები და საბოლოო შედეგების გაგების შემდეგაც შეიტანონ ცვლილება ჩამონათვალში.

საგამოცდო სისტემა წლიდან წლამდე იცვლება და იხვეწება
https://naec.ge/#/ge/post/1493

გამოცდები და პანდემია

როგორ მიმდინარეობდა მზადება 2020 წლის გამოცდებისათვის?

ახალი კოვიდინფექციის გავრცელებამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა გამოცდების ჩატარების საკითხი. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ახალი გამოწვევების შესაბამისად დაიწყო მოქმედება. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი შემდეგი ორგანიზაციების ჩართულობით: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, თბილისის მერია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტი); სს „თელასი“ , სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ და შპს „მაგთიკომი“.

ხანგრძლივი მუშაობის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა დაცვაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფდა გამოსაცდელთა და მეთვალყურეთა უსაფრთხოებას, ხოლო მეორე მხრივ, საშუალებას მისცემდა აბიტურიენტებს მაქსიმალურად კომფორტულ გარემოში გამოევლინათ საკუთარი ცოდნა და უნარები.

Covid 19-ის გავრცელების საწინააღმდეგო რეკომენდაციები 2020 წლის გამოცდებში მონაწილეებისათვის
https://www.youtube.com/watch?v=rS9VBJKqDxQ

კონკრეტული დროის მონაკვეთში 3000-მდე თანამშრომლის შერჩევა და შესაბამისი ტრენინგის ჩატარება პანდემიის პირობებში საკმაოდ რთული ამოცანა იყო. გამოცდების ორგანიზებაში ჩართული პირების - ადმინისტრატორების, კოორდინატორების, მეთვალყურეების, კურატორებისა და თანაშემწეების ტრენინგები ონლაინ ფორმატით ჩატარდა. საგანგებოდ მომზადდა საგამოცდო ცენტრებისათვის შერჩეული სამედიცინო პერსონალიც.

ვინაიდან სარეგისტრაციო პერიოდი ქვეყანაში გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობას დაემთხვა, გახანგრძლივდა 2020 წლის გამოცდებში მონაწილეთა რეგისტრაციისა და სამედიცინო ცნობების წარმოდგენის ვადა იმ გამოსაცდელებისათვის, რომლებიც საჭიროებდნენ სპეციალური პირობების/სპეციფიკური საგამოცდო გარემოს შექმას.

„#მეარმქონიასტრესულიგამოცდები
ფაქტობრივად, ყველაზე დასამახსოვრებელ დღეებად იქცნენ დღეები, რომლებისაც ყველაზე მეტად მეშინოდა.
აქვე უღრმესი მადლობა გამოცდების ეროვნულ ცენტრს ჩემთვის ყველანაირად ადაპტირებული გამოცდის ტესტის მოწოდებისათვის და სასიამოვნო გარემო-პირობების შექმნისთვის.“

ანა, აბიტურიენტი

2020 წლის გამოცდებისათვის რეგისტრირებულთა რიცხვი (ერთიანი ეროვნული გამოცდები, სტუდენტთა საგრანტო კონკურსი, საერთო სამაგისტრო გამოცდა, მასწავლებლის კომპეტენციის დასადასტურებელი გამოცდა, მასწავლებლობის მსურველთა გამოცდა) დაახლოებით **70 000 იყო**.

იმისათვის, რომ გამოსაცდელთა უსაფრთხოების მიზნით მათი რაოდენობა სექტორებში შემცირებულიყო, გაიზარდა საგამოცდო სესიების რაოდენობა, 24 დღის ნაცვლად კი, საგამოცდო პროცესი 30 დღე გაგრძელდა.

ღია კარის დღეებმა ონლაინ რეჟიმში გადაინაცვლა. გამოსაცდელებს მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხის მიღება შეეძლოთ ცენტრის ოფიციალურ ფეისბუკგვერდზე ყოველ ოთხშაბათს, 13:00 საათიდან 16:00 საათამდე. 24 საათიან რეჟიმში მუშაობდა ცხელი ხაზი. მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლები, ცენტრი ჩაერთო „ტელესკოლის“ პროექტში და ასევე შეიქმნა ახალი პროექტი „ყველაზე მაღალქულიანი აბიტურიენტების რჩევები 2020 წლის გამოცდებში მონაწილეებს“.

საგამოცდო ცენტრებისთვის დამზადდა სპეციალური პლაკატები კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგო მითითებებით და მოგროვდა რეკომენდაციების შესასრულებლად საჭირო მასალები: პირბადეები, ერთჯერადი ხელთათმანები, ერთჯერადი ხალათები, სადეზინფექციო ხსნარები, როგორც ხელების დასამუშავებლად, ასევე ტექნიკის, ზედაპირებისა და იატაკების დასამუშავებლად.

2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსის ჩატარების განრიგი

	I სესია	II სესია
6 ივლისი-11 ივლისი	ქართული ენა და ლიტერატურა	
12 ივლისი	ისტორია	ისტორია
13 ივლისი	ისტორია	ისტორია
14 ივლისი	მათემატიკა	
15 ივლისი	მათემატიკა	
16 ივლისი	ბიოლოგია	
17 ივლისი	რუსული ენა	
	ინგლისური ენა	ინგლისური ენა
		ფრანგული ენა
18 ივლისი	რუსული ენა	
	ინგლისური ენა	ინგლისური ენა

	I სესია	II სესია
19 ივლისი	გერმანული ენა	
	ინგლისური ენა	ინგლისური ენა
20 ივლისი	ზოგადი უნარები	ზოგადი უნარები
21 ივლისი	ზოგადი უნარები	
	ლიტერატურა	
22 ივლისი	ფიზიკა	
	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	
23 ივლისი	გეოგრაფია	
24 ივლისი	ქიმია	
25 ივლისი	სამოქალაქო განათლება	
	სტუდენტთა საგრანტო კონკურსი	

www.naec.ge

2020 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების განრიგი:

პირველი სესია - წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა;	1 აგვისტო
პირველი სესია - ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა;	2 აგვისტო
პირველი და მეორე სესია - წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა;	3 აგვისტო
პირველი და მეორე სესია - ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა	4 აგვისტო

www.naec.ge

2020 წლის საგნის გამოცდის ჩატარების თარიღები

22 ივლისი:

- ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV);
- ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური);
- ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური);
- მათემატიკა (დაწყებითი საფეხური).

23 ივლისი:

- ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
- სპორტი;
- ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური).

24 ივლისი:

- მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- გეოგრაფია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- მუსიკა.

27 ივლისი:

- ისტორია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- სამოქალაქო განათლება (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - წერითი ნაწილი.

28 ივლისი:

- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - პრაქტიკული ნაწილი.

29 ივლისი:

- ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) - წერითი ნაწილი;
- გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) - წერითი ნაწილი;
- ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) - წერითი ნაწილი;
- რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) - წერითი ნაწილი;
- ქართული, როგორც მეორე ენა (დაწყებით, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) - წერითი ნაწილი.

30 ივლისი:

- ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) - პრაქტიკული ნაწილი;
- რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) - პრაქტიკული ნაწილი;
- გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) - პრაქტიკული ნაწილი;
- ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) - პრაქტიკული ნაწილი;
- ქართული, როგორც მეორე ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) პრაქტიკული ნაწილი.

წინასაგამოცდო დღეები

28 ივნისს ბათუმში, ფოთში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ქუთაისში, ახალციხეში, გორში, თბილისში, რუსთავში, თელავსა და ხულოში საქართველოს ფოსტის სატვირთო მანქანებმა საგამოცდო ცენტრებში მიიტანეს გამოცდის ჩასატარებლად აუცილებელი კომპიუტერები, სხვადასხვა საგამოცდო მასალა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვის საშუალებები.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მზადება 24 საგამოცდო ცენტრში ერთდროულად მიმდინარეობდა. შეიქმნა შესაბამისი პირობები განსაკუთრებული საჭიროების მქონე 200-მდე აბიტურიენტისათვის. გამოსაცდელთა მოთხოვნისა და სამედიცინო ჩვენების შესაბამისად, 8 მონაწილისათვის ცენტრმა მოამზადა სხვადასხვა საგნის ტესტები ბრაილის შრიფტით.

ჯანდაცვის უწყების რეკომენდაციების, ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ყველა მოთხოვნის შესაბამისად, ცენტრმა საგამოცდო სივრცე მოუმზადა 26 მსჯავრდებულს (24 აბიტურიენტსა და 2 მაგისტრანტობის კანდიდატს).

2020 წლის გამოცდებში მონაწილეთა უსაფრთხოების მიზნით მიღებული ზომები ამგვარი იყო: თითოეულ სექტორში არ დაიშვებოდა 10 გამოსაცდელზე მეტი. ყოველი სამუშაო მაგიდა წინა მხრიდან აღჭურვილი იყო გამჭვირვალე დამცავი ფარით/ბარიერით; მაგიდებს შორის სიგანეში დაშორება 2 მეტრი იყო, ერთმანეთის მიმდევრობით განლაგებულ მაგიდებს შორის მანძილი კი - 1 მეტრი. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ყოველ გამოსაცდელს სთავაზობდა პირბადეს (სურვილის შემთხვევაში, გამოსაცდელს შეეძლო მოეტანა საკუთარი პირბადე). ცენტრმა იზრუნა საკარანტინე სივრცეების მოწყობაზეც - კარანტინში მყოფი აბიტურიენტების სამუშაო მაგიდები აღჭურვილი იყო სამი მხრიდან გამჭვირვალე დამცავი ფარით/ბარიერით, რომლებიც ერთმანეთისგან დაშორებული იყო არანაკლებ ორმეტრიანი რადიუსის დისტანციით. სხვა აბიტურიენტებისგან განსხვავებით, მუშაობის დროს მხოლოდ ამ გამოსაცდელებისთვის იყო აუცილებელი პირბადის კეთება და, ასევე, გამოცდამდე PCR-ტესტის ჩატარება, რომელიც მათთვის უფასო გახლდათ.

N103-ე სკოლაში გახსნილ საგამოცდო ცენტრში მედიის წარმომადგენლებისათვის ღია კარის დღე გაიმართა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა სოფიო გორგოძემ დეტალურად გააცნო საზოგადოებას როგორც საგამოცდო პროცედურები, ასევე ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

საგამოცდო პროცესი

6 ივლისს ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო. პროცედურები ამგვარად მიმდინარეობდა: დილის 05:30 საათიდან იწყებოდა სადეზინფექციო სამუშაოები. დეზინფექცია უტარდებოდა როგორც მთელ საგამოცდო ცენტრს, ასევე თითოეულ სექტორსა და სამუშაო ადგილს. დილის 6:30 საათზე საგამოცდო ცენტრში ცხადდებოდნენ ადმინისტრატორი, კოორდინატორი და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი, ბეჭდავდნენ უწყისებს, რომლებშიც მოცემული იყო ინფორმაცია კონკრეტულ დღეს დარეგისტრირებული გამოსაცდელების შესახებ. ოდნავ მოგვიანებით გუნდს უერთდებოდნენ რეგისტრატორები და მეთვალყურეები. აბიტურიენტთა რეგისტრაცია ზუსტად 8:00 საათზე იწყებოდა. ამ დროიდან ცენტრის თანამშრომლები დაცვის პოლიციასთან ერთად გარე პერიმეტრზე იწყებდნენ გამოსაცდელების განაწილებას შესაბამისი დისტანციის დაცვით წინასწარ გაკეთებული ნიშნულების მიხედვით. საგამოცდო ცენტრების მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებული იყო სასწრაფო დახმარების მანქანები, სამაშველო სამსახური და საპატრულო პოლიცია.



ცენტრში შემოსვლამდე გამოსაცდელები გადიოდნენ დეზობარიერს, თერმოსკრინინგს და იმუშავებდნენ ხელებს. გამოცდების მონაწილენი ზედმეტ ნივთებს ტოვებდნენ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას - ყველა ნივთი იფუთებოდა და საგანგებოდ ინახებოდა შესაბამის ადგილას. აბიტურიენტები სექტორებში ნაწილდებოდნენ საგამოცდო ბარათზე მითითებული სექტორისა და ადგილის შესაბამისად. საგამოცდო პროცესი იწყებოდა მეთვალყურის მიერ კოდის გამოცხადებისა და კომპიუტერში შეყვანის შემდეგ.

კოვიდინფიცირებული აბიტურიენტი

ერთ-ერთ საგამოცდო ცენტრში განაწილებულ აბიტურიენტს გამოცდის ჩაბარებიდან მეორე დღეს ოჯახის წევრის ავადმყოფობის გამო ტესტირება ჩაუტარდა და კოვიდინფექცია დაუდგინდა. მის ოთახში მყოფი ცხრავე აბიტურიენტი კარანტინში მოთავსდა და ყველას ტესტირება ჩაუტარდა. არც ერთი მათგანი არ გამოეთიშა საგამოცდო პროცესს, ინფიცირებულ აბიტურიენტს კი დარჩენილი გამოცდის ჩაბარება სამედიცინო დაწესებულებაში მოუწია.

ცენტრმა აღჭურვა კოვიდინფიცირებულის პალატა სამი ლეპტოპით: ერთ-ერთ მათგანში ჩაწერილი იყო თავად საგამოცდო ტესტი, მეორე განკუთვნილი იყო მოსმენის დავალებებისთვის, მესამე ლეპტოპით კი ხდებოდა მთელი საგამოცდო პროცესის ვიდეოგადაღება. გამოცდას ესწრებოდა ცენტრის მიერ საგანგებოდ გადამზადებული ორი მეთვალყურე სპეციალური ეკიპირებით. დალუქული ლეპტოპები გამოცდის დაწყებამდე აბიტურიენტის თვალწინ გაიხსნა. მეთვალყურეებმა უზრუნველყვეს როგორც სექტორის ტექნიკურად მომზადება და აღჭურვა, ასევე საგამოცდო პროცესის ჩვეულ რეჟიმში წარმართვა - გამოსაცდელისთვის საგამოცდო წესების გაცნობა და ყველა სხვა საჭირო პროცედურის ჩატარება. საგამოცდო პროცესი კოვიდინფიცირებულის პალატაში გახსნილ საგამოცდო ცენტრში სხვა ცენტრების მსგავად, ყველა წესის დაცვით წარიმართა. რამდენიმე დღის შემდეგ ცენტრმა გამოცდა სამედიცინო დაწესებულებაში მეორე კოვიდინფიცირებულ აბიტურიენტსაც ჩაუტარა.

გამოცდაზე იყო სათანადო პირობები იმისთვის, რომ თითოეულ აბიტურიენტს მისცემოდა საშუალება, ცოდნა მაქსიმალურად გამოევლინა. სირთულეებისდა მიუხედავად, კორონავირუსისგან გამოწვეული პრობლემები არ აღმოჩნდა ხელისშემშლელი ფაქტორი, რომ საუკეთესო შედეგისთვის მიმეღწია.

ლუკა ბალახაძე, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი

რა ხდება გამოცდის დასრულების შემდეგ?

ყოველი გამოცდის დასრულების შემდეგ საგამოცდო ცენტრებიდან პასუხების ფურცლებით დატვირთული მანქანები მოდიოდნენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, სადაც დალუქული ყუთები თავსდებოდა 2-დღიან კარანტინში. ამის შემდეგ დალუქული პაკეტები, რომლებშიც ინახებოდა პასუხების ფურცლები, იხსნებოდა და შესაბამისად მუშავდებოდა - ხდებოდა მათი სკანირება და კომპიუტერული პროგრამით გასწორებისათვის მომზადება: საგამოცდო ნამუშევრები იყოფოდა ცალკეულ დავალებებად და წინასწარ საგანგებოდ მომზადებულ გამსწორებელთა ჯგუფებს შესაფასებლად ეგზავნებოდა ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. ნაშრომების შეფასების ამგვარი პროცესი უზრუნველყოფს კონფიდენციალობის მაქსიმალურ დაცვას, რადგან გამსწორებლები ცენტრის სპეციალისტების მიერ შექმნილი სპეციალური პროგრამით (eMarker) აფასებენ მხოლოდ კონკრეტულ დავალებებს და ვერ ხედავენ მთლიან ნაშრომს.

აბიტურიენტების ნამუშევრები სხვადასხვა გამსწორებლის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სწორდებოდა ორჯერ. იმ შემთხვევაში, თუ მათი შეფასებები ერთმანეთს არ დაემთხვეოდა, დავალება შესაფასებლად მესამე გამსწორებელს ეგზავნებოდა.

საგამოცდო ნაშრომების გასწორება საგამოცდო პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა.

გასწორების პროცესის დასრულების შემდეგ ქვეყნდება პირველადი შედეგები, რის შემდეგაც იწყება საპრეტენზიო განაცხადების მიღება.
გამოსაცდელებს საშუალება აქვთ, გაასაჩივრონ როგორც ცალკეული დავალება, ასევე მთლიანი ნაშრომი.
გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი სააპელაციო კომისია, რომლის წევრები არ არიან ცენტრის თანამშრომლები.
სააპელაციო პროცესის დასრულების შემედეგ ხდება ვარიანტებს შორის ქულების გათანაბრება და სკალირება. იწყება ჩარიცხვების პროცესი, თუმცა ჩარიცხვებამდე, დებულების შესაბამისად, მიმდინარეობს მთელი რიგი პროცედურები, როდესაც კიდევ ერთხელ ზუსტდება, აქვს თუ არა აბიტურიენტს ზოგადი განათლების დამადასტურებელი მოწმობა. გათანაბრებული და სკალირებული ქულების გამოქვეყნების შემდეგ ხდება ჩარიცხვა და გრანტების განაწილება.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გამოცდას უტარებს იმ აბიტურიენტებსაც, რომლებიც რეგისტრირდებიან ამა თუ იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე. მასზე სწავლის გაგრძელების მიზნით გამოსაცდელები აბარებენ ზოგადი უნარების გამოცდას სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე, ან აფხაზური ან ოსური ენის გამოცდას. სწავლა ერთი წელი გრძელდება (60 კრედიტი). ამ პროგრამის დასრულებისა და შესაბამისი სერტიფიკატის მიღების შემდეგ სტუდენტები დამატებითი გამოცდების გარეშე, საკუთარი არჩევნის შესაბამისად, სწავლას აგრძელებენ იმავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე.
ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტი გადადის შემდეგი ეტაპის დასაფინანსებლადაც.
2020 წელს ამ პროგრამაზე სწავლა **1200-მდე** აბიტურიენტმა გააგრძელა.

[redacted]

[redacted]

[redacted]

ნომერი: 173

განცხადება

გთხოვთ, [redacted] ვის საბუღალტრო და ანგარიშგებიდან ყოფილი ყოფილი გამოცდილების, ხელფასის და ვინ [redacted] ლინდა ჩვენ ვინაობის ამოწერა ასევე ასევე ასევე გადაგზავნილი განცხადებისთვის.

ჩვენ ვინაობა;

[redacted]

[redacted]

ერთიანი ეროვნული გამოცდები
მნიშვნელოვანი მონაცემები



საერთო სამაგისტრო გამოცდა

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი საერთო სამაგისტრო გამოცდას ცენტრალიზებულად ატარებს 2009 წლიდან. საქართველოს ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერ სამაგისტრო პროგრამაზე (გარდა საღვთისმეტყველო, საშემსრულებლო და სასპორტო საგანმანათლებლო სპეციალობებისა) სწავლის გაგრძელების აუცილებელი პირობაა როგორც ამ გამოცდის, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დანიშნული გამოცდის/ გამოცდების ჩაბარება.

2020 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდა

2020 წელს საერთო სამაგისტრო გამოცდას გარკვეული ტიპის სიახლეები შეეხო: შეიქმნა ერთი ტიპის ტესტი, განსხვავებით წინა წლებისაგან, როდესაც სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების მსურველები ირჩევდნენ სამი - A, B და C ტიპის - ტესტიდან ერთ-ერთს საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების მიხედვით. ტესტების ტიპების გაერთიანებამ მოხსნა საგანმანათლებლო პროგრამების არჩევისა და მობილობასთან დაკავშირებული პრობლემები. ამასთან, არ შეცვლილა ტესტის სტრუქტურა. ის კვლავ 4 ნაწილისგან იყო შედგენილი: (წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა, ლოგიკური მსჯელობა და რაოდენობრივი მსჯელობა).

2020 წელს ჩავაბარე საერთო სამაგისტრო გამოცდა. საგამოცდო ცენტრში მისვლისთანავე დამხვდა ძალიან მოწესრიგებული გარემო პანდემიის პირობების შესაბამისი სტანდარტების დაცვით. საგამოცდო ცენტრის შესასვლელთან და შენობაშიც დაცული იყო დისტანცია, ყველას ეკეთა პირბადე. გვიტარებდნენ თერმოსკრინინგს და ყველა პროცედურის შემდეგ გვასხამდნენ სადეზინფექციო სითხეს ხელზე. ჩვენთვის განკუთვნილი მაგიდებიც შესაბამისი დისტანციით იყო ერთმანეთისგან დაშორებული, დამკვირვებლებიც მაქსიმალურად იცავდნენ ყველა წესს. დიდი მადლობა გამოცდების ეროვნულ ცენტრს იმისთვის, რომ პანდემიის პირობებშიც მოგვეცა გამოცდაზე გასვლის საშუალება და შეგვიქმნეს მშვიდი და უსაფრთხო გარემო.

მარიამ სულხანიშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

2020 წლის საგამოცდო პროცესში მაგისტრობის მსურველები პირველი აგვისტოდან ჩაერთნენ. საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის ტესტირება ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. პირველ დღეს ჩატარდა გამოცდა წაკითხულის გააზრებისა და ანალიტიკური წერის ნაწილებში, მეორე დღეს კი – ლოგიკური მსჯელობისა და რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილებში.



გამოსაცდელთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების მიზნით გამოცდებზე დაცული იყო რეკომენდაციები, რომლებიც შეიმუშავა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

მნიშვნელოვანი მონაცემები

- რეგისტრაცია გაიარა - **12 600-ზე** მეტმა მსურველმა;
- გამოცდაზე გამოცხადდა **85%-ზე** მეტი კანდიდატი;
- გრანტი მოიპოვა **700-ზე** მეტმა მაგისტრანტმა.

სტუდენტთა საგრანტო კონკურსი

2007 წლიდან საქართველოში ტარდება სტუდენტთა საგრანტო კონკურსი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ბაკალავრიატის სტუდენტებს, მოიპოვონ ან გაიუმჯობესონ საგრანტო დაფინანსება. საკონკურსო გამოცდაში მონაწილეობის უფლება აქვს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის ყველა სტუდენტს, რომელთაც ან საერთოდ არ აქვთ მიღებული გრანტი, ან მხოლოდ ნაწილობრივი დაფინანსება აქვთ.

თუ სტუდენტმა ვერ გაიუმჯობესა დაფინანსება, მას უნარჩუნდება მანამდე მოპოვებული გრანტი და რჩება უფლება ყოველ მომდევნო წელს თავიდან დარეგისტრირდეს სტუდენტთა საგრანტო კონკურსზე (გრანტით არ ფინანსდება დამატებითი სემესტრები). სახელმწიფო ასიგნებებიდან ამ კონკურსისთვის გამოყოფილი თანხა რეიტინგული მაჩვენებლის მიხედვით გადანაწილდება საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტებზე. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში საგანგებოდ ამ გამოცდისთვის შემუშავდა ტესტის ფორმატი და ყოველწლიურად სპეციალურად სტუდენტებისათვის მზადდება ტესტური დავალებები მათი ზოგადი აკადემიური უნარების შესაფასებლად.

2020 წელს ეს გამოცდა 25 ივლისს ჩატარდა უსაფრთხოების ყველა წესისა და რეკომენდაციების დაცვით.

მნიშვნელოვანი მონაცემები

დარეგისტრირებული **3.600-ზე** მეტი სტუდენტიდან საგრანტო კონკურსზე გამოცხადდა **78%-ზე** მეტი გამოსაცდელი.

დაფინანსება მოიპოვა

123

გრანტი გაიუმჯობესა

139

100% გრანტი

79 სტუდენტი

70% გრანტი

87 სტუდენტი

50% გრანტი

96 სტუდენტი

მასწავლებლის კომპეტენციის დასადასტურებელი ტესტირება და მასწავლებლობის მსურველთა გამოცდა

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2010 წელს დაიწყო, 2017 წლიდან კი ცენტრი ატარებს მასწავლებელთა კომპეტენციის დასადასტურებელ ტესტირებას და მასწავლებლობის მსურველთა გამოცდას.

ტესტირებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ:

- მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განაწილებულ პრაქტიკოს მასწავლებელს;
- ბაკალავრს, მაგისტრს და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. ასევე პირს, რომელიც სწავლობს აღნიშნული საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დამამთავრებელ კურსზე ან აქვს სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლება;
- მასწავლებლობის მსურველს, რომელსაც დიპლომის საფუძველზე აქვს მასწავლებლობის უფლება, ან სწავლობს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელ კურსზე.

პრაქტიკოს მასწავლებელს უფლება აქვს დარეგისტრირდეს როგორც საგნობრივ (შეუძლია აირჩიოს მხოლოდ ერთი საგანი), ასევე პროფესიული კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაზე, პედაგოგობის მსურველ პირს კი მხოლოდ საგნის გამოცდის ჩაბარება შეუძლია.

საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება და გამოცდის ჩაბარება შესაძლებელია შემდეგ საგნებში:

ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური);
მათემატიკა (დაწყებითი საფეხური);
ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური);
ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I – IV კლასები);
ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
ქართული, როგორც მეორე ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
საზოგადოებრივი მეცნიერებები (საბაზო ან/და საშუალო საფეხური): ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება;
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (საბაზო ან/და საშუალო საფეხური): ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია;
უცხოური ენები (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური): ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული;
ესთეტიკური აღზრდის საგნები: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, სპორტი;
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

2020 წლის ზაფხულში გამოცდა მასწავლებლობის მსურველებისათვის ჩატარდა. გამოსაცდელთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით გამოცდებზე დაცული იყო ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც შეიმუშავა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

მასწავლებლობის მსურველებისათვის საგამოცდო პროცესი 22 ივლისს დაიწყო და 30 ივლისს დასრულდა. ტესტირება მხოლოდ დღის პირველ ნახევარში იმართებოდა. 12 000-მდე დარეგისტრირებულთაგან გამოცდაზე გამოცხადდა 88%.

არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებს შეეძლოთ მიეღოთ მათთვის სასურველ (აზერბაიჯანულ, რუსულ ან სომხურ) ენაზე თარგმნილი საგნობრივი ტესტი და პასუხებიც მშობლიურ ენაზე დაეწერათ. ცენტრის მიერ მომზადებული გამსწორებლები თარჯიმნების დახმარებით ასწორებდნენ ასეთ ნამუშევრებს.

არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით, მასწავლებელთა კომპეტენციის დასადასტურებელი ტესტირება 2021-2022 სასწავლო წლის დაწყებამდე ჩატარდება, სპეციალურ მასწავლებელთა გამოცდები კი 2021 წელსაა დაგეგმილი. სპეციალური მასწავლებლის გამოცდის მოსამზადებლად 2020 წელს მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა: გამოიცადა საგამოცდო ტესტისათვის გამიზნული დავალებები და მოხდა შეფასების სტანდარტის დადგენა.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადას 2009 წლიდან ატარებს საშუალო და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის, რომელთა რეგისტრაციასაც სკოლა უზრუნველყოფს. ცენტრის მიერ მომზადებული დავალებებით სკოლაშივე იმართება პირველი ტური, ხოლო მეორე და მესამე ტურს ცენტრალიზებულად თავად შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მიზანი სასწავლო პროცესის სტიმულირება და მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებაა. ასევე, იმ ნაკრებებისათვის კანდიდატების გამოვლენა, რომლებიც საერთაშორისო ოლიმპიადებზე საქართველოს სახელით მიიღებენ მონაწილეობას.

2020 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2019-2020 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის დასკვნითი ტური, რომელიც გაზაფხულზე უნდა გამართულიყო, არ ჩატარებულა (გარდა გერმანული ენისა).

2020–2021 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველ ტური შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, არსებული რეალობის გათვალისწინებით, უკვე ახალი ფორმატით ჩაატარა.

წელს პირველად მოსწავლეებმა მონაწილეობა დისტანციურად მიიღეს - დარეგისტრირებულ ყველა მოსწავლეს საშუალება ჰქონდა შესაბამისი განრიგის მიხედვით, მისთვის სასურველ დროს, 09:00 საათიდან 20:00 საათამდე, შესულიყო ცენტრის ვებგვერდზე: www.naec.ge, გადასულიყო შესაბამის ბმულზე და პირადი ნომრისა და პაროლის მითითების შემდეგ შეესრულებინა ოლიმპიადისათვის განკუთვნილი დავალებები.

2020-2021 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველ ტურში მონაწილეობის სურვილი **30 700-ზე მეტმა** მოსწავლემ გამოთქვა. ის 16 ნოემბერს დაიწყო და 20 ნოემბერს დასრულდა.

პროფესიული ტესტირება

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ახალი საგამოცდო მოდელი პროფესიულ სასწავლებლებში სწავლის მსურველთათვის 2013 წელს მოამზადა და ის კონკრეტული სახელობო პროფესიის დაუფლებისათვის მნიშვნელოვანი, მინიმალური (საბაზო) ცოდნისა და სპეციფიკური უნარების შეფასებას ითვალისწინებს.

პროფესიული ტესტირების მიზანია გამოავლინოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთა უნარები და შესაძლებლობები. ტესტირების შედეგების მიხედვით ჩარიცხვის ბარიერი არ არსებობს.

2020 წლის პროფესიული ტესტირება

2020 წლის მიღებაზე **12 000-ზე მეტი** მსურველი დარეგისტრირდა. დარეგისტრირებულებს 4 სექტემბერს შესაძლებლობა ჰქონდათ წინასწარი ტესტირება (პრეტესტი) ცენტრის ვებგვერდზე განთავსებული ბმულის საშუალებით დისტანციურად გაევლოთ. მთელი საქართველოს მასშტაბით 59 საგამოცდო ცენტრი გაიხსნა - ყველა მათგანი სრულად აკმაყოფილებდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებულ რეკომენდაციებს.

პროფესიულ პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის ტესტირება 5 და 6 სექტემბერს ჩატარდა. გამოცხადდა დარეგისტრირებულ აპლიკანტთა 62% -ზე მეტი.
2020 წელს პროფესიული ტესტირების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებების შედეგად ცენტრის მიერ პროფესიული ტესტირების საფუძველზე შეიქმნა თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთა რეიტინგული სიები და არა რანჟირების დოკუმენტი, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა.

საქართველოში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის ორგანიზებული გამოცდა

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი საქართველოში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის გამოცდას 2019 წლიდან ატარებს. გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა აქვთ საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც სწავლობდნენ/სწავლობენ და მიღებული აქვთ კრედიტები/ კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში იმყოფებოდნენ არანაკლებ ერთი სემესტრისა (75 დღე).

საქართველოში სწავლის გაგრძელების მსურველები მათთვის საგანგებოდ მომზადებულ ტესტს აბარებენ, რომელიც შედგება 3 ნაწილისაგან: წაკითხულის გააზრება, ლოგიკური მსჯელობა და რაოდენობრივი მსჯელობა.

2020 წლის გამოცდა საქართველოში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის

2020 წელს საქართველოში სწავლის გაგრძელების მსურველებისათვის გამოცდა ორჯერ - თებერვალსა და სექტემბერში ჩატარდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწყობილ სპეციალურ საგამოცდო სივრცეში. გამოცდებზე სრულად იყო დაცული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაცია. ჯამში ტესტირება 400-ზე მეტმა პირმა გაიარა. მათგან საქართველოში სწავლის გაგრძელება 50-მდე გამოსაცდელმა შეძლო.

პროექტი „შეფასება განვითარებისათვის“

საპილოტე პროექტზე მუშაობა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2019 წელს დაიწყო. პროექტის მიზანია მეოთხე და მეექვსეკლასელი მოსწავლეების მიღწევების შეფასება ელექტრონული პლატფორმის დახმარებით ქართულსა და მათემატიკაში. შედეგები დაეხმარება მოსწავლეებსა და მშობლებს, თვალი ადევნონ სასწავლო პროცესის მანძილზე მიღწეულ პროგრესს და მიიღონ ინფორმაცია მოსწავლეთა სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ. პროექტი სკოლას შესაძლებლობას მისცემს, დააკვირდეს სწავლა-სწავლების ტენდენციებს როგორც ცალკეული კლასის, ასევე ზოგადად, სკოლის დონეზე.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2020 წელს პროექტზე **სამი მიმართულებით იმუშავა:** შეფასების კონცეპტუალური ჩარჩოს განვითარება, შეფასების შინაარსი და ტექნიკური ინფრასტრუქტურა. ამ ეტაპამდე საკუთარი ძალებითა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დახმარებით ცენტრმა შემდეგი სამუშაოების შესრულება შეძლო:

- განისაზღვრა შეფასების ჩარჩო-სქემა მათემატიკასა და ქართულ ენაში მე-4 და მე-6 კლასებისთვის;
- აღნიშნულ საგნებსა და კლასებში შეიქმნა ტესტური დავალებები, გამოიცადა და დამუშავდა ფსიქომეტრული ანალიზის საფუძველზე;
- ელექტრონული ტესტის შექმნისა და მიწოდების უზრუნველსაყოფად შეირჩა ელექტრონული ტესტირების პლატფორმა - „ტაო“, რომელიც გამოიყენება ევროპის მრავალი ქვეყნის განათლების სამინისტროს მიერ (მაგ., საფრანგეთში, იტალიაში, ლუქსემბურგში, ნორვეგიაში, დანიაში, ლიეტუვაში, პორტუგალიაში და ა.შ.), ასევე პიზას საერთაშორისო ტესტირებისას. მოხდა პროგრამის დაინსტალირება და ემისის სერვერებზე გამართვა;
- შეიქმნა ღია დავალებების გასწორების მოდული, ვინაიდან „ტაო“ მხოლოდ დახურული დავალებების ავტომატურად შეფასებას უზრუნველყოფს. პროგრამა გამოყენებულ იქნა საცდელ ტესტირებაზე ნოემბერში;
- შეიქმნა ელექტრონული ანგარიშის პროგრამა, რომელიც ტესტირების შედეგებს ხელმისაწვდომს ხდის მოსწავლისათვის, მშობლის, მასწავლებლისა და სკოლის დირექტორისათვის. პროგრამა თითქმის დასრულებულია. უახლოეს მომავალში საცდელი ტესტირების მონაწილე სკოლები ელექტრონულ ანგარიშებს მიიღებენ;

- ჩატარდა ორი საცდელი ტესტირება. პირველი საცდელი ტესტირება თებერვალში ჩატარდა 60-მდე საჯარო სკოლაში. იგი მიზნად ისახავდა ტესტური დავალებებისა და „ტაოს“ პროგრამის გამოცდას. მეორე საცდელ ტესტირებაზე ნოემბერში გამოიცადა ელექტრონული ტესტირების სისტემის სამივე კომპონენტი (ტესტების მიწოდება, ღია დავალებების გასწორება, ანგარიშის მოდული) და მათი ერთმანეთთან თავსებადობა. მასში მთელი საქართველოს მასშტაბით 1000-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

ტესტირება მთლიანად ელექტრონული პროგრამით ჩატარდა: მოსწავლეები ელექტრონულად ასრულებდნენ ტესტურ დავალებებს და შეფასების შედეგებსაც ელექტრონულად მიიღებენ. მოსწავლეების დიდი ნაწილი სახლიდან ჩაერთო შეფასების პროცესში. შედეგების ნახვა და ანალიზი შესაძლებელია როგორც თითოეული მოსწავლის, ასევე კლასის დონეზეც.

ტესტირების შედეგებს ცენტრი გამოიყენებს პროექტის („შეფასება განვითარებისათვის“) ელექტრონული პლატფორმისა და ტესტირების ფორმატის დასახვეწად, რათა ის მაქსიმალურად ასახავდეს სკოლის საჭიროებებს. შეფასების ეს პროცესი დაეხმარება სკოლებს შესაბამისად დაგეგმონ სასწავლო წელი.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, აგრეთვე, პანდემიის გათვალისწინებით ამ ეტაპზე საცდელ ტესტირებაში მხოლოდ მეშვიდეკლასელები ჩაერთნენ - მომდევნო პილოტირება მას შემდეგ დაიგეგმება, როდესაც მოხდება შედეგების ანალიზი.

საერთაშორისო გამოცდები

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 2013 წლიდან ადმინისტრირებას უწევს სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო გამოცდებს. მათ შორისაა კემბრიჯის სხვადასახვა სახის გამოცდა, რომლებსაც მსოფლიოს 130-მდე ქვეყანაში ყოველწლიურად, დაახლოებით, 3 მილიონი ადამიანი აბარებს.

ACCA Think Ahead

ETS TOEFL

Cambridge Assessment

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ასევე მოპოვებული აქვს საქართველოში TOEFL-ის, ACCA-ს კომპიუტერული და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების უფლება.

საერთაშორისო გამოცდებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მათ შორის - მოსწავლეებს, სტუდენტებსა და მაგისტრანტებს.

2020 წელს TOEFL-ის გამოცდა 49, ACCA-ს გამოცდა - 45-მა, კემბრიჯის გამოცდა კი 135-მა მსურველმა ჩააბარა.

საერთაშორისო კვლევები და სახელმწიფო შეფასება

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება საგანმანათლებლო კვლევებია. ცენტრის ადმინისტრირებით საქართველო 2006 წლიდან მონაწილეობს რამდენიმე საერთაშორისო კვლევაში, ასევე ატარებს სახელმწიფო შეფასებებსაც.

სახელმწიფო და საერთაშორისო კვლევების შედეგებს ქვეყნები სასკოლო განათლებაში არსებული ვითარების შესაფასებლად იყენებენ. სახელმწიფო შეფასება ორიენტირებულია ეროვნული მასშტაბით არსებული სურათის შესწავლაზე, ხოლო საერთაშორისო კვლევები - ქვეყნის შედეგების გლობალურ კონტექსტში შეფასებაზე. შედეგების გაანალიზების შედეგად მუშავდება კონკრეტული რეკომენდაციები.

2020 წელს მომზადდა და გამოქვეყნდა საერთაშორისო ანგარიშები:

მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2018 საქართველოს ანგარიში

კვლევის მიზანი: მოსწავლეთა კომპეტენციების შეფასება კითხვის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სფეროებში. PISA-ს ყოველ ციკლში ამ სამი სფეროდან ერთ-ერთი ე. წ. წამყვანი სფეროა. ტესტში დავალებების უმეტესობა სწორედ ამ სფეროდან არის შერჩეული და მათ ტესტირების დროის ნახევარზე მეტი ეთმობა. ამასთან, PISA-ის ყოველ ციკლში მონაწილე ქვეყნებისთვის შეთავაზებულია შეფასება რომელიმე დამატებით სფერო(ებ)ში (მაგალითად, გლობალური კომპეტენციები, ფინანსური წიგნიერება და სხვ.). მასში მონაწილეობა არჩევით, არასავალდებულო ხასიათს ატარებს.

სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა - TALIS 2018

კვლევის მიზანია, ერთი მხრივ, შეისწავლოს მასწავლებელთა საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პრაქტიკის ძირითადი ასპექტები და, მეორე მხრივ, გააცნოს ყველა დაინტერესებულ მხარეს ამ საქმიანობის თავისებურებანი. კვლევის მიზანია ასევე წარუდგინოს მკითხველს, რა არის სკოლის ხელმძღვანელობის ძირითადი ფუნქციები და როლი სასკოლო საქმიანობაში; როგორია სისტემაში დასაქმებული მასწავლებლების მზაობის განცდა და პროფესიული განვითარება; როგორ აფასებენ პედაგოგები საკუთარ საქმიანობას; რა შეხედულება და დამოკიდებულება აქვთ მათ სწავლებისა და საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის მიმართ; როგორ აფასებენ მასწავლებლები საკუთარ ეფექტიანობას, სამუშაოთი კმაყოფილებას, სკოლასა და საკლასო ოთახში არსებულ ატმოსფეროს და ა. შ.

PISA 2018 საქართველოს შედეგები

მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა



OECD

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა (TIMSS) - 2019

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევას (TIMSS – TRENDS IN INTERNATIONAL MATHEMATICS AND SCIENCE STUDY) საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია (IEA) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 1995 წლიდან ატარებს ყოველ 4 წელიწადში ერთხელ. საქართველო შეფასებაში პირველად 2007 წელს ჩაერთო და მას შემდეგ მონაწილეობა მიიღო 2011, 2015 და 2019 წელს ჩატარებულ კვლევებში. საქართველო წარმოდგენილი იყო ორივე - მე-4 და მე-8 კლასით. კვლევის ადმინისტრირებას საქართველოში შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფდა.

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TIMSS) მასში მონაწილე ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს, შეაფასონ საკუთარი საგანმანათლებლო სისტემა, არსებული სასწავლო პრაქტიკა და გამოავლინონ ხელისშემშლელი ფაქტორები მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაში.

დისტანციური სწავლების ეროვნული კვლევა

პანდემიის პირობებში სწავლა-სწავლების პროცესის უკეთ დაგეგმვის მიზნით, განათლების, მენიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზნებისთვის ცენტრმა ჩაატარა დისტანციური სწავლების ეროვნული კვლევა. 2020 წლის ივნისში ჩატარდა კვლევის საველე სამუშაოები, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 7 286 მასწავლებელმა, 32 431 მშობელმა და 39 619 მოსწავლემ. კვლევის მიზანი იყო საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში სწავლების ფორმატის ცვლილების შედეგის შესწავლა და გაანალიზება. კვლევა ჩატარდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის თანამშრომლების ტექნიკური მხარდაჭერით. კვლევის ანგარიში მომზადდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის.



მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა

პირველადი ანგარიში

2020

IEA TIMSS & PIRLS International Study Center
BOSTON COLLEGE Lynch School of Education
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და კემბრიჯის უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში მოწვეულ იქნენ ექსპერტები, რომლებმაც ჩაატარეს ტრენინგები ცენტრის საგნობრივი ექსპერტებისათვის, ასევე განახორციელეს ტესტების აუდიტი კონკრეტული მიმართულებებით.

ანგარიშები მოიცავდა როგორც ტესტირების სისტემის დახვეწასა და პროცედურებს, ასევე სტრატეგიული განვითარების ელემენტებსაც.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 2020 წელს შეუერთდა ელექტრონული შეფასების საერთაშორისო საზოგადოებას FLIP+. აღნიშნული ორგანიზაცია შეიქმნა 2019 წელს 4 ქვეყნის (საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი და პორტუგალია) ინიციატივით. საზოგადოების მიზანია ჩამოთვლილ ქვეყნებსა და სხვა დაინტერესებულ პარტნიორ ქვეყნებს შორის ელექტრონულ შეფასებასთან დაკავშირებით გამოცდილების გაზიარება.

ცენტრის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულნი FLIP+ ის სამუშაო ჯგუფებში. 11-12 ივნისს გამართულ ონლაინ შეხვედრის დროს განხილულ იქნა ცენტრის საპილოტე პროექტი „შეფასება განვითარებისთვის“.

2020 წელს გაფორმდა მემორანდუმი აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო გამოცდების ცენტრთან. თანამშრომლობის მიზანი იყო არაქართულენოვანი/აზერბაიჯანულენოვანი სკოლების აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებისათვის პროფესიული გამოცდის საგამოცდო დავალებების შექმნა. ვინაიდან არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ და პანდემიამ ხელი შეუშალა ეფექტიან თანამშრომლობას, მემორანდუმი 1 წლის ვადით 2021 წელსაც გაგრძელდება. ანალოგიური თანამშრომლობის მიზნით ცენტრი ამჟამად მოლაპარაკებებს აწარმოებს სომხეთთან.

ცენტრის სხვადასხვა აქტივობის შესახებ ინფორმაცია საერთაშორისო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ინგლისურენოვან ვებგვერდზე HTTPS://NAEC.NEWS/

ცენტრის საკონსულტაციო მომსახურება და პროექტები

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობა ცოდნისა და უნარების შეფასებასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელებაა. ცენტრი კონსულტაციას უწევს სხვადასხვა დაწესებულებას, ატარებს ტრენინგებს, ეხმარება მათ ტესტირების ადმინისტრირებასა და კადრების შერჩევის პროცესში.

2020 წელს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი მოემსახურა შემდეგ ორგანიზაციებს:

- ბრიტანეთის საბჭო საქართველოში;
- „ისტ-უესტ მენეჯმენტ ინსტიტუტის“ წარმომადგენლობა საქართველოში;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
- სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;
- სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლა;
- ამერიკული საკონსულტაციო ორგანიზაცია „MATHEMATICA POLICY RESEARCH”.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დამხმარე მასალები

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ყოველ წელს ამზადებს დამხმარე მასალას თავისი სამიზნე აუდიტორიისათვის. 2020 წელსაც საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებმა შექმნეს საგამოცდო კრებულები, რომლებიც ხელმისაწვდომია აბიტურიენტებისათვის და მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს მათთვის გამოცდებისათვის მომზადების პროცესში.

ცენტრმა მიმდინარე წელსაც ტრადიციულად იმუშავა კიდევ ერთ მნიშვნელოვან რესურსზე - აბიტურიენტებისათვის სპეციალურად შექმნილ ცნობარზე. ელექტრონულ ბუკლეტში ,,ცნობარი აბიტურიენტებისათვის" თავმოყრილია ყველა ის მნიშვნელოვანი მასალა, რომლებიც გამოცდებს ეხება: სიახლეები, გამოცდებისათვის რეგისტრაციის ინსტრუქცია, განმარტება გამოცდებისა და საგანმანათლებლო პროგრამების არჩევის შესახებ, ინფორმაცია საგამოცდო პროცესის შესახებ, შედეგების გამოქვეყნებისა და აპელაციის პროცედურა, ჩარიცხვისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების წესი. აბიტურიენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ცნობარში ეხილათ ცხრილი, რომელშიც მოცემულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემები გამოცდების, თითოეული გამოცდისათვის მინიჭებული კოეფიციენტების, დადგენილი მინიმალური კვოტის, სწავლის საფასურისა და სხვა მნიშვნელოვანი დეტალების შესახებ.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის გამოცდების დასრულებისთანავე დაიწყო მზადება 2021 წლის საგამოცდო პროცესისათვის. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები. ცენტრი არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას მომავალშიც გეგმავს.

საკონტაქტო ინფორმაცია
(995 32) 2 47 33 33
info@naec.ge
თბილისი 0186,
მინდელის ქუჩა №9